შესაძლებლობითი OWA ოპერატორის კონსტრუირება საინვესტიციო პროექტების დაკრედიტების რისკების შეფასებებში

ი.ხუციშვილი [ა]

გ.სირბილაძე [ბ]

ელ. ფოსტა: [ა]irina.khutsishvili@tsu.ge, [ბ]gia.sirbiladze@tsu.ge

კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტი,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
უნივერსიტეტის ქ. 13, 0186, თბილისი, საქართველო

მოხსენებაში წარმოდგენილია რისკების შემცირების გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერი ტექნოლოგია კონკურენტუნარიან საინვესტიციო პროექტებს შორის არჩევის შემთხვევაში. ტექნოლოგია კომბინირებულია ორი ფაზი–სტატისტიკური მეთოდით, რაც უზრუნველყოფს საინვესტიციო პროექტების შეფასების ორ საფეხურს. პირველ საფეხურზე მცირე რისკების მქონე პროექტების შერჩევა ხდება ა. კაუფმანის ექსპერტონების თეორიის საფუძველზე.

მეორე საფეხურზე კეთდება გადაწყვეტილებების დაზუსტება შესაძლებლობითი აგრეგირების OWA ტიპის ოპერატორ AsPOWA–ს გამოყენებით. ეს ინსტრუმენტი გამოიყენება შედარებით მცირერიცხოვანი პროექტების შემთხვევაში, რომლებიც შეირჩა პირველ საფეხურზე, მათი შედარებისა და მაღალი ხარისხის პროექტების გამოვლენის მიზნით. ბოლოს იქმნება რეკომენდაციები კრედიტების გაცემაზე. მოხსენება შეიცავს გამოთვლით მაგალითს, რომელიც ასახავს შემოთავაზებული ტექნოლოგიის მუშაობას.